ოქმი N6

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე მოწვევის რიგგარეშე სხდომისა

ქ. ხობი 2019 წლის 30 მაისი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 37

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 37

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 28 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 მარტის N5 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: მ. რუხაძე - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი);

4. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) და მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (ქირავნობის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი;

თანამომხსენებელი: მ. რუხაძე - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი);

5. „პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში განთავსებული ბიბლიოთეკისთვის ნოე დაფნარელის სახელის მინიჭების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ე. კვიკვინია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი);

6. „სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ხიბულის საჯარო სკოლისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

7. „სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში“ ხობის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 აპრილის N10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ფ. შონია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და განაცხადა რომ მერის ბრძანებების შესაბამისად განხორციელებული ცვლილებების ასახვა ხორციელდება წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ წარმოდგენილ დადგენილების პროექტში ხორციელდება მერის მიერ გამოცემული 20 მარტის ბრძანებების შესაბამისი ცვლილებები, თუმცა დაინტერესდა, საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან იყო თუ არა ეს შესაბამისობაში?

დ. ჭოჭუა - განმარტა, რომ მერის ბრძანებით განხორციელებული ცვლილება უნდა აისახოს ბიუჯეტში ერთი თვის ვადაში საკრებულოს სხდომაზე.

მ. ქარდავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ გამოდის ვადები დაირღვა, შესაბამისად კანონის მოთხოვნაც, რადგან დღეს 30 მაისია.

დ. ჭოჭუა - მიუხედავად ვადის დარღვევისა, ეს არ იყო კანონის არსებითი დარღვევა.

დებატების დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (მ. ქარდავა) წარმოედგინა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

მ ქარდავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება შემდეგი სახის ცვლილება: იზრდება ბიუჯეტის შემოსავლები 152,0 ათასი ლარით მუხლიდან „გრანტები" (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) და მიიმართება პრიორიტეტის - ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის" მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდის" ასიგნებაზე. ასევე იზრდება შემოსავლები 530,0 ათასი ლარით „გრანტებიდან" (მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად) და შემოსავლების ზრდის თანხების მთლიანი მოცულობა – 530,0 ათასი ლარი მიიმართება პრიორიტეტის - ,,განათლება" მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდის" ასიგნებაზე. ხობის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 20 მარტის N01-160-04 ბრძანების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გადიდდა 557,8 ათასი ლარით პრიორიტეტის - ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის" მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდის" ასიგნება, კერძოდ: ქვეპროგრამის „გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა" ასიგნება. ასევე ხობის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 22 მარტის N01-161-04 ბრძანების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში 290,1 ათასი ლარით გადიდდა პრიორიტეტის - ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის" მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდის" ასიგნება. კერძოდ: ქვეპროგრამის „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული აქტივების რეაბილიტაცია" ასიგნება. 2019 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთიდან ხდება 80,5 ათასი ლარის ასახვა ადგილობრივ ბიუჯეტში. ნაშთის 80,5 ათასი ლარი მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: 80,5 ათასი ლარი მიიმართება პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია" ასიგნებაზე, აქედან: 80,5 ათასი ლარი ქვეპროგრამის ,,წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია" მუხლის ,,არაფინანსური აქტივების ზრდა" ასიგნებაზე. ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N68 დადგენილების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში

ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა გაიზარდა 1529,9 ათასი ლარით და შეადგინა 14767,9 ათასი ლარი. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სერიოზული ხასიათის შენიშვნები არ გააჩნიათ და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილის სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N6 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 მარტის N5 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: დ. ბერაია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 მარტის N5 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2019 წლის 22 მარტს მიღებულ იქნა N5 დადგენილება „ხობის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, რაზედაც საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტიდან მიღებულ იქნა რეკომენდაცია, საკრებულოს მიერ დამატებითი რეგულაციების შემუშავებამდე საკრებულომ სახელდების საკითხთან დაკავშირებით იხელმძღვანელოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით. ზემო აღნიშნული რეკომენდაციის თანახმად, კომისიის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საკრებულოს N5 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ი. ნადარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება7 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: მ. რუხაძე - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი)

მოისმინეს: მ. რუხაძე - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ შპს „ხობის წყალმომარაგებას" ჰყავს ხელმძღვანელი პირები, მაგრამ არ ჰყავთ დამხმარე პერსონალი (მუშა), არადა სოფლებში წყალმომარაგების კუთხით პრობლემებია, საჭიროა მუშახელი, რომელიც დროულად უზრუნველყოფს დაზიანებული წყლის სისტემის აღდგენას. მოსახლეობა გამოთქვამს სამართლიან წუხილს აღნიშნულთან დაკავშირებით და საჭიროა სწრაფი და დროული ჩართულობა პრობლემის აღმოსაფხვრელად. გამომსვლელის განცხადებით თუ საკრებულოს ჩართულობა იქნებოდა საჭირო პრობლემის აღმოსაფხვრელად, მზად არიან ჩაერთონ, რათა დროულად გადაიჭრას არსებული პრობლემები.

აზრი გამოთქვეს: მ. რუხაძე - გამომსვლელი დაეთანხმა გამომსვლელს, რომ სოფლებში არსებობდა პრობლემები წყლით მომარაგებასთან დაკავშირებით, რომელიც საჭიროებდა დროულად მოგვარებას.

ე. ჯობავა - გამომსვლელმა ასევე ისაუბრა შპს „ხობი დასუფთავება და განათების" მუშაობის შესახებ და განაცხადა, რომ აღნიშნული სამსახური კეთილსინდისიერად ასრულებს მათზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს და ნაგავიც დროულად გააქვთ ქალაქიდან და სოფლებიდან, მაგრამ ცუდი ის არის, რომ არ ხორციელდება მოსახლეობიდან დასუფთავების მოსაკრებლის ამოღება, რადგანაც მისი აზრით მოუწესრიგებელია ამოღებასთან დაკავშირებული საკითხი.

მ. რუხაძე - გამომსვლელმა განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჰქონდათ შეხვედრა შპს-ს ხელმძღვანელობასთან და მიეცათ გონივრული ვადა ექვსი თვით, რათა მოგვარდეს აღნიშნული პრობლემა.

მ. ქარდავა - გამომსვლელი დაინტერესდა, ზუბის წყალსადენი სისტემა მუშა მდგომარეობაში იყო თუ არა?

შ. ჭილაია - საკრებულოს წევრი - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე არ მუშაობს, წყლის სატუმბი მოწყობილობაა მწყობრიდან გამოსული, რის გამოც ახალი ხუბულის N2 საჯარო სკოლას და ზუბის საბავშვო ბაღს წყალი არ მიეწოდება, რაც იწვევს გარკვეულ უკმაყოფილებას მოსახლეობაში.

მ. რუხაძე - გამომსვლელმა განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მუშაობენ და არსებული პრობლემა უახლოეს დღეებში მოგვარდება.

დებატების დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონება - ახალი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ზუბში არსებული წყალსადენი სისტემა, ექსპლოატაციაში შევიდა 2012 წელს, რომლის ნარჩენი ღირებულება 2019 წლის 1 იანვრისათვის შეადგენს 19628 ლარს. წყალსადენი სისტემა არის მუშა მდგომარეობაში და მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია ქონება თხოვების ფორმით გადაეცეს შპს „ხობის წყალმომარაგებას". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ნადარაია, რ. სერგია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N13 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) და მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (ქირავნობის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი;

თანამომხსენებელი: მ. რუხაძე - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი)

მოისმინეს: მ. რუხაძე - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) და მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (ქირავნობის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) უძრავი ქონების (ს/კოდი 45.21.23.113) პირველი სართული 100 კვ.მ ფართი და იქ არსებული მოძრავი ქონება 6954 ლარის ღირებულებით იჯარისა და ქირავნობის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაეცემა

უმწეოთა კვების ტენდერში გამარჯვებულ პირს, 6 თვის ვადით. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

აზრი გამოთქვეს: თ. აბაკელია - გამომსვლელი დაინტერესდა, ტენდერის ჩატარების პროცესში უმწეოთა სასადილოში კვების მხრივ შეფერხება ხომ არ მოხდებოდა?

მ. რუხაძე - გამომსვლელმა განმარტა, რომ დროულად ტარდებოდა ტენდერი რათა შეფერხებას არ ჰქონდეს ადგილი.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ნადარაია, რ. სერგია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N14 ოქმს თან ერთვის)

5. „პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში განთავსებული ბიბლიოთეკისთვის ნოე დაფნარელის სახელის მინიჭების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ე. კვიკვინია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ე. კვიკვინია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში განთავსებული ბიბლიოთეკისთვის ნოე დაფნარელის სახელის მინიჭების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ბიუროს წევრების მხრიდან იყო ინიციატივა პირველი მაისის ბიბლიოთეკისთვის მედეა ნაჭყებიას სახელის მინიჭების თაობაზე

აზრი გამოთქვეს - ე. კვიკვინია - გამომსვლელმა განაცხადა, მერიის შესაბამის სამსახურებთან მიმდინარეობს კონსულტაცია მედეა ნაჭყებიას სახელის პირველი მაისის კულტურის სახლისთვის მინიჭების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, კიდევ ხომ არ ექნებოდათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ქონების

მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით მერიაში ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის ხელმძღვანელის მიერ წარდგენილ იქნა წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ ცენტრის დირექტორის სახელზე შემოვიდა საინიციატივო ჯგუფის განცხადება პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ბიბლიოთეკისთვის ამავე სოფელში დაბადებული მწერლის, პოეტის, ჟურნალისტისა და დამსახურებული მასწავლებლის ნოე კობახიძის (დაფნარელის) სახელის მინიჭების თაობაზე. ამ მოთხოვნის საფუძველზე მერიის მიერ მომზადდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი. გამომსვლელის განცხადებით, განკარგულების პროექტი „პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში განთავსებული ბიბლიოთეკისთვის ნოე დაფნარელის სახელის მინიჭების შესახებ" შესწავლილ იქნა კომისიის მიერ და კომისიას მიაჩნია, რომ მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური და განკარგულების პირველი პუნქტი მოითხოვს კორექტირებას, კერძოდ, სრულად უნდა დაკონკრეტდეს დაწესებულების დასახელება, რომელსაც ენიჭება სახელი, როგორც ეს ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი ცენტრის" წესდებაშია მითითებული და განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის" სტრუქტურული ერთეულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის პირველი მაისის ბიბლიოთეკისთვის ნოე დაფნარელის სახელის მინიჭების შესახებ", ხოლო განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1. ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის" სტრუქტურული ერთეულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის პირველი მაისის ბიბლიოთეკას მიენიჭოს ნოე დაფნარელის სახელი." კომისიის მიერ ზემო აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით მომზადდა განკარგულების პროექტის ახალი ვარიანტი და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ამ განკარგულების პროექტის დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი იქნა განკარგულების პროექტის დაზუსტებული ალტერნატიული პროექტი, კომისიის თავმჯდომარის წინადადების

საფუძველზე კენჭისყრაზე დააყენა კომისიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი: „ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის“ სტრუქტურული ერთეულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის პირველი მაისის ბიბლიოთეკისთვის ნოე დაფნარელის სახელის მინიჭების შესახებ“

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ნადარაია, რ. სერგია, ბ. მამაცაშვილი)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N15 ოქმს თან ერთვის)

6. „სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ხიბულის საჯარო სკოლისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: დ. ბერაია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ხიბულის საჯარო სკოლისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ხიბულის საჯარო სკოლის დირექტორის მიერ საკრებულოში წარმოდგენილ იქნა სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, სადაც განხილულია პედაგოგიური კოლექტივისა და მშობელთა კომიტეტის ინიციატივა სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ხიბულის საჯარო სკოლისთვის საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების შესახებ. სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული წინადადება სკოლისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების თაობაზე. „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანების თანახმად, სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილება განხილულ იქნა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ და მომზადდა განკარგულების პროექტი „სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ხიბულის საჯარო სკოლისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭებაზე თანხმობის

გაცემის თაობაზე". საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით სახელდებასთან დაკავშირებული ინიციატივა, სამეურვეო საბჭოს ოქმი და საკრებულოს განკარგულება სამეურვეო საბჭოს მიერ წარედგინება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა, იმ ადამიანებს, რომლებიც დიდი პროექტების განხორციელებას აპირებენ ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში, სადაც საბავშვო ბაღის, ეკლესიის, პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სახლ-მუზეუმის მშენებლობასა და მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის მოწყობას ახორციელებენ. მადლობა გამოთქვა ბანკ „ქართუს" ხელმძღვანელების მისამართით პროექტში ჩართულობის გამო, ასევე მადლობა გადაუხადა გუბერნიის ხელმძღვანელობას და ყველა იმ პირს ვინც ჩართულია ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში განსახორციელებელ პროექტებში ჩართულობის გამო. გამომსვლელის განცხადებით ამავე სოფელში სახელმწიფო ხელისუფლების მხარდაჭერით ხორციელდება სასმელი წყლის სისტემის დაქსელვა და გაზიფიცირება, რისთვისაც მოსახლეობის სახელით კიდევ ერთხელ გამოთქვა მადლიერება.

მცირეოდენი შესავლის შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ნადარაია, რ. სერგია, ბ. მამაცაშვილი)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N16 ოქმს თან ერთვის)

7. „სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში" ხობის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 აპრილის N10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - ხობის მუნიციპალიტეტის მერის

მოვალეობის შემსრულებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში" ხობის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 აპრილის N10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ,,სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში" ხობის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 აპრილის N10 განკარგულებაში ხორციელდება ცვლილება და დასაფინანსებელ პროექტებს ემატება ხამისკურის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საქირიოში ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ნადარაია, რ. სერგია, ბ. მამაცაშვილი)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N17 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

მეოთხე მოწვევის საკრებულოს 2019 წლის 30 მაისის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. ვლადიმერ ქანთარია
4. დავით ბერაია
5. დოდო გაბუნია
6. თეა გელანტია
7. ბქეა მამაცაშვილი
8. მერაბ ფილიპია
9. თემურ გულუა
10. თენგიზ აბაკელია
11. როლანდ სერგია
12. ირაკლი ნადარაია
13. დავით ცინაძე
14. კონსტანტინე ნასარაია
15. გოჩა სიჭინავა
16. ფრიდონი შონია
17. აბელი ქირია
18. გენადი ქამანაია
19. კახა მიქაბერიძე
20. ლაშა ცატავა
21. ავთანდილ ხუნჯუა
22. გია წულაია
23. გოჩა ჯობავა
24. აკაკი ხურცლავა
25. შადიმან ჭილაია
26. კობა გოქაძე
27. მზია ლემონჯარია
28. იგორი გოგოლაძე